სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
სამშაბათი
18
სექტემბერი
№ 112 (10349)
ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები ზუგდიდის საქალაქო საარჩევნო უბნები

**მეღსანნაწილის საარჩევნო უბანი № 18**

ცენტრი: ენგურქაღალდკომბინატ-დირექციის შენობა.

საზღვრები: თამარ მეფის ქ. ...თაისის ქუჩიდან ბოლომდე, 9 ...ის, 9 მაისის შესახვევი, ტოლს-...ის ჩიხი, კამოს ქ. კუტუზოვის ...პრავდის ქ. პრავდის 1-ლი ...სახვევი, პრავდის მე-2 შესახვევი, ...ნა შენგელაიას ქ. დემნა შენგე-...ის 1-ლი შესახვევი, სხულუხიას ...სხულუხიას 1-ლი შესახვევი, ...ლუხიას მე-2 შესახვევი, ვახტანგ ...გასალის ქ. ვახტანგ გორგასალის ...ლი შესახვევი, ვახტან გორგასალ-...მე-2 შესახვევი, ვოლგოგრადის ...ბეგლარ ხორავას ქ. თამარ მეფ-... 1-ლი შესახვევი, სტახანოვის, ...ახანოვის 1-ლი შესახვევი, სტახა-...ის მე-4 შესახვევი, კიევის ქ. ...ლინოვსკის, მარჯანიშვილის, ტოლ-სტოის მე-5 შესახვევი, ტოლსტოის ჩიხი.

**ენგურქაღალდკომბინატის საარჩევნო უბანი № 14**

ცენტრი: გამაჯანსაღებელი ცენტ-რი.

საზღვრები: კობულეთის ქ. კალი-ნდაძის, პავლოვის, ჩივ-ლოვის შესახვევი. მუქა-ლალდეთი, ჯანაშიას, ჯანაშიას შესახ-ვევი, სპეციალისტების, სპეციალის-ტების 1-ლი შესახვევი. სპეციალის-ტების მე-2 შესახვევი, სპეციალის-ტების მე-3 შესახვევი, ვაჩნაძის, სუ-ვოროვის, სუვოროვის შესახვევი ტაშკენტის, ტაშკენტის 1-ლი შესახ-ვევი, მოსაშვილის შესახვევი, საქ-ქაღალდმრეწვის მე-2 უბნის მუშა-თა დასახლება.

**აკადემიკოს ნ. ანთელავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს საარჩევნო უბანი № 15**

ცენტრი: აკადემიკოს ნ. ანთელა-ვას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარი კორპუსი ყოფილ ლენინის ქუჩაზე.

საზღვრები: აკადემიკოს ნ. ანთელა-ვას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს კორპუსები.

**ენგურქაღალდკომბინატის მეღსანნაწილის საარჩევნო უბანი № 16**

ცენტრი: მეღსანნაწილის და პოლიკლინიკის შენობა ენგურქაღა-ლდკომბინატის ტერიტორიაზე.

საზღვრები: მეღსანნაწილისა და პოლიკლინიკის კორპუსები.

**რაიონული საავადმყოფოს საარჩევნო უბანი № 17**

ცენტრი: რაიონული საავადმყოფო-ოს შენობა მერაბ კოსტავას ქუჩაზე.

საზღვრები: რაიონული საავადმყო-ფო, ვენდისპანსერი და ტუბდის-პანსერი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ოდიში" № 111.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საარჩევნო კომისია.

## ალმასკომის გაფართოებულ სხდომაზე

...გამართა საქალაქო საბჭოს ...ალმასკომის გაფართოებული სხდო-..., რომელსაც დეპუტატებთან ერ-...დ ესწრებოდნენ ქალაქის საწარ-...ორგანიზაციათა ხელმძღვანელე-... ზოგიერთი ქუჩის კომიტეტის ...თავმჯდომარეები, ადმინისტრაციულ ...ორგანოთა წარმომადგენლები.

...სხდომამ განიხილა საკითხი დეპუ-...ტ თ. გ. სურგულაძის სისხლის ...სამართლის პასუხისმგებაში მისაც-ემად თანხმობის შესახებ. აღნიშნუ-ლი საკითხი სხდომას მოახსენა დეპ-უტატმა შ. დარჯანიამ.

აზრი გამოთქვეს: სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის თანაშემწემ შ. სარიამ, გაზის ტრესტის მმართვ-ელმა ლ. ქანიამ, საიჯარო-საწარმოო ფირმა „ენგურის" დირექტორმა ზ. გოგოხიამ, საავადმყოფო პოლი-კლინიკური გაერთიანების მთავარმა ექიმმა ე. კვარაცხელიამ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებმა: შ. პაჭკორიამ, რ. ბუსქანძემ, რ. ცაავამ, ქ. წურწუმიამ.

გაფართოებულმა სხდომამ, გაით-ვალისწინა რა სხდომის მონაწილეთა და ქალაქის საზოგადოებრიობის აზრი, გადაწყვიტა არ დაეთანხმოს რესპუბლიკის პროკურატურას დეპ-უტატ თ. სურგულაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

## სასკოლო ცხოვრება

...მეცხრე, მეათე და მეთერთმე-...ტე კლასელები თვითმომსახურე-...ზე ვართ გადასული. თვითმო-...მსახურება და თვითმმართველობა ...ნელი სკოლას ჯერ კიდევ ბევრი აქვს. დამოუკიდებლობას შრო-მაშიაც ვეჩვევით. ვუვლით ხაკ-უთარი ჩაის პლანტაციის ნაკვეთს.

...ეროვნულ მოძრაობას ყოველ-მხრივ განათლებული, კულტურ-ული თაობა ჭირდება. მაღალი აკადემიური მოსწრება და სპეციალ...

## თვითმომსახურება ამაღლებს პასუხისმგებლობას

...ასხვრევს საქმისადმი იმ ძველ-...ურ მიდგომას, როცა ადამიანი ...მოტივით სხვისი კარნახით ...ეთებდა ყველაფერს. შრომის ...პროცესში ბავშვებს უფრო გაგვ-...ევდა საკუთარი ძალებისადმი ...რწმენა, უფრო ვეჩვევით დამოუ-...კიდებულ საქმიანობასა და აზრ-...ოვნებას. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ...არ ნიშნავს იმას, რომ სკოლის ...ადებური მოდელი გაგვზრდის ...ცხოვრებისათვის ყოველმხრივ ...მომზადებულ პიროვნებად.

...სასკეთებულო და გარდასაქმ-ჩვენ თვითონ ვართ თავმჯდომარ-ეც, ბრიგადირიც. მიმდინარე წელს რვა ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი გვაქვს მოკრეფილი. ახალი სასწავლო წლისათვის კი უფრო დიდი გეგმები დავსახეთ.

საინტერესო დროში გვიხ-დება ცხოვრება. იმსხვრევა ძველი, იბადება ახალი. იმედი-ანად ვუყურებთ მომავალს. ჩვენი საფიქრალიც მომავალი საქართველოა. კარგად გვესმის დიდი მისია, რაც დაგვეკისრა თავისუფალი საქართველოს აშენებაში.

ამის დაუფლება, აი ჩვენი მი-ზანი. ამ მიზნისათვის არც ხვეწ გვილალატნია. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. მოსწავლემ თავისი ადგილი უნდა იცოდეს ცხოვრებაში. ეს აზრია გამოხატ-ული ბატონ ზვიადი გამსახურდ-იას მიმართვაში მოსწავლეებისა-დმი. და ჩვენც ახალი სასწავ-ლო წლიდანვე გულმოდგინედ მოვკიდეთ ხელი სასწავლო დის-ციპლინების დაუფლებას.

მ. ფიფია,

ჩხორიის საშუალო სკოლის მოსწავლე.

## ...ვის ვიცავთ და რატომ?

ზუგდიდსა და სამეგრელოს რეგიონში ბოლო პერიოდში დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლების გაუგონარმა გააქტიურე-ბამ საზოგადოებაში შიშისა და პანიკის ატმოსფერო შექმნა. გახშირდა ყაჩაღობა, ძარცვა, ფულის გამოძალვა, მკვლელობის ცდები და სიცოცხლისათვის საშიში სხვა დანაშაულობანი. დაუსჯელობისა და ყოვლისშემძ-ლეობის ატმოსფეროში ზედაპირზე წამოტივტივდა ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდები" და ეროვ-ნულ მოძრაობას მიტმასნილი დამნაშავე ელემენტები, რომელ-თა აღვირახსნილობამ და ცი-ნიკურმა მოქმედებამ შეურაცხ-ყო და აღაშფოთა ზუგდიდისა და მიმდებარე რაიონების მშრო-მელები და ჯანსაღი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები. დამნაშავეთა კატეგორიის ერთ-ერთ ასეთ წარმომადგენლად ზუ-გდიდში მოგვევლინა ძარცვისა და გამოძალვისათვის ნასამართლ-ევი ზ. გაბედავა, რომელმაც მიმდინარე პერიოდში საქართვე-ლოს ზოგიერთ რაიონში ჩაიდინა მთელი რიგი მძიმე სახის დანაშ-აულობანი, რომელთა გამოც მის მიმართ აღძრულია სისხლის სამ-ართლის საქმეები. ამჟამად ზ. გაბედავა წინასწარ პატიმრობაშ-ია.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ზ. გაბედავასა და მის თანამზრა-ხველთ მხარს უჭერს და მფარვ-ელობს ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი პოლიტიკური ორგან-იზაციის გარკვეული ნაწილი, რომლის ზემოქმედების უხეშმა ფორმებმა სამართალდამცავ ორ-განოებზე შეიძლება გული აუც-რუოს მოსახლეობას, დააეჭვოს ეროვნული მოძრაობის გარკვეუ-ლი პარტიების მიზნებისა და მოქმედების გულწრფელობასა და სიმართლეში.

8 სექტემბერს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე წამოჭრილა ზ. გაბედავას განთავისუფლების საკითხი, რამაც გააკვირვა რეგიონის შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლები, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, გაიფიცნენ იმის გამო, რომ ჩვენი საქმიანობის პრაქტიკაში იყო მილიციაზე ზემოქმედებისა და კანონის უზენაესობის უგულებელყოფის ფაქტები, რამაც გარკვეულწილად დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებს დაუსჯელობისა და ყოვლისშემძლეობის რწმენა შეუქმნა.

ყოველივე ამის გამო გაცნობებთ, რომ აქცია, რომელიც მოეწყობა ზ. გაბედავასა და მისი თანამზრახველების დასაცავად, აღქმული იქნება რეგიონის მშრომელებისა და მასში შემავალი შინაგან საქმეთა განყოფილებების თანამშრომლების შეურაცხყოფად და გამოიწვევს მოსახლეობის ბოიკოტს იმ პიროვნებებისა და პარტიების მიმართ, რომლებიც მფარველობენ ასეთ დამნაშავე ელემენტებს.

მოვითხოვთ, რომ შესაბამისი პარტიების წარმომადგენლებმა პრესისა და ტელევიზიის საშუალებით აუწყონ მოსახლეობას, თუ რა წვლილი მიუძღვით ზ. გაბედავასა და დ. გელაშვილს ეროვნული მოძრაობის წინაშე.

რეგიონის საგაფიცვო კომიტეტის სახელით: თ. ქირია, ი. მესხი, ბ. წიწავა, რ. ბერიშვილი, დ. სორდია, ბ. ალფენიძე (ქ. ზუგდიდი), ზ. ჩიქობავა, მ. ჯოგაავა, რ. ალანია (ხობი), ა. ბესელია, ი. ბოგვია, ლ. ქავთარაძე, ზ. ქვარაია (სენაკი), ვ. ბენდელიანი, თ. მოლაშხია (ფოთი).

„კომუნისტი" 14 სექტემბერი.

## საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისაგან, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისაგან

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1921 წლიდან

**ილია ფილიპეს ძე ლუკავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### ი. ფ. ლუკავას დამკრძალავი კომისიის შექმნის შესახებ

შეიქმნა ი. ფ. ლუკავას დამკრძალავი კომისია ქ. წურწუმიას (თავმჯდომარე), რ. ბულიას, გ. იზორიას, შ. ჯიქიას, ჟ. ჯღამაიას შ. ლემონჯავას, ნ. ჯიქიას შემადგენლობით.

### თვალსაზრისი

# ზოგიერთი საკითხები პროფტექსასწავლებლის შესახებ

ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში, მისი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ტემპის დაჩქარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება განათლების სისტემას. სამწუხაროდ მეთოდურ პრინციპებზე მომუშავე ამ სისტემამ ბოლო დროს შესამჩნევად დაკარგა მეთოდურობა და თანმიმდევრობა, რამაც გარკვეულწილად დაბლა დასწია მისი ავტორიტეტი.

მაღალკვალიფიციური მეცნიერ პედაგოგების მიერ მრავალგზის შემუშავებულმა სახალხო განათლების კონცეფციებმა პროფგანათლებას ყურადღება შემატა. ამ სფეროში სოციალური პრობლემათა წრე სამწუხაროდ იზრდება იმის გამო, რომ სასწავლებლების ხედით შეიძლება ითქვას დღეს არავინაა დაინტერესებული და თუ რაიონის პროფსასწავლებლები რესპუბლიკაში საერთო ფონს კი არ აფუჭებენ, პირიქით საკმაო მოწინავე პოზიციებიც კი უკავიათ სხვა სასწავლებლებს შორის, ეს შრომითი კოლექტივების დამსახურებაა.

საქართველოში მიმდინარე ეროვნული მოძრაობის ამ დიდმნიშვნელოვან ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულება. მოსწავლის, კვალიფიციური მუშის, ტექნიკოსის, ინჟინრის სამომავლო მოწამსის ჩამოყალიბება შეუძლებელია საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირის გარეშე. აღმზრდელი გრძნობს და მტკივნეულად განიცდის ყურადღების დეფიციტს. მტკივნეულია ის, რომ მასწავლებელთა ტრადიციულ კონფერენციაზე დაუსრულებლად ერთი და იგივე პრობლემებზეა ლაპარაკი, არ იგრძნობა სათანადო მხარდაჭერა, უჭირს აღმზრდელს, უჭირს სასწავლო დაწესებულებას.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით ტრადიციად ქცეული „კოსმეტიკური" სარემონტო სამუშაოები დღეს მხოლოდ გარეგნულად თუ ნიღბავენ გასაჭირს.

სასწავლებლის პედაგოგიურ კოლექტივს, მის ტექნიკურ პერსონალს მთავარ სტიმულად ბოლო წლებში ერთიანი ძალისხმევით მიღწეული წინსვლისა და ჩავარდნების მიზეზების ობიექტური შეფასება, რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით შედგენილი სამომავლო გეგმების უფრო განხორციელებისათვის ფიქრი მიაჩნია. ამ პოზიციიდან გამომდინარე საჭიროა რომ კიდევ უფრო სრულვყოთ სასწავლებლის მატერიალურ ტექნიკური ბაზა, შევარჩიოთ და დავნერგოთ ახალი ფორმები, ვცდილობთ არ ჩამოვრჩეთ ცხოვრების ფერხულს, სწრაფად დავიკავოთ ჩვენი ადგილი საზოგადოებაში. დემოკრატიის გაკვეთილებიდან, რომელსაც გავდივართ, მეტი ცოდნა შევიძინოთ.

მთავარ პრობლემათა შორის ალბათ სასწავლებლების დაკომპლექტების საკითხი დგას. განათლების განყოფილების, სკოლების ქმედითი დახმარების მიუხედავად რაიონის პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტება სულ უფრო არარეალური ხდება. უმთავრესი მიზეზი რაიონში ერთი და იგივე პროფილის ორი სასწავლებლის არსებობაში უნდა ვეძიოთ. დიდი ხანია დადგა დრო საბოლოოდ გადაწყდეს მათი შერწყმის, პროფილის შეცვლის ან კონტინგენტის გამიჯვნის საკითხი.

მიღების გეგმის შეუსრულებლობის ერთგვარი შინაგანი შიში კოლექტივში ძაბავს სიტუაციას, ხელს უშლის მას შემოქმედებითად წარმართოს მუშაობა.

სასწავლებლების შერწყმა არსებითად მოხსნის დღის წესრიგიდან დაკომპლექტების პრობლემებს, ამაღლებს სწავლების ხარისხს, რაც საბოლოოდ დადებით ზეგავლენას მოახდენს სპეციალისტის კვალიფიკაციაზე. საწარმოო სწავლების ოსტატისა და მასწავლებლის ფიქრი ახალი სასწავლო წლიდანვე მიმართული იქნება ეფექტიანი მუშაობისაკენ. ის ხალისით მოკიდებს ხელს მისთვის საყვარელ საქმეს. დღეს კი საფიქრალი ისაა თუ როგორ დაკომპლექტდა სასწავლებელი, როგორი იქნება მასწავლებლის დატვირთვა და ხელფასი, უზრუნველყოფილი იქნება ის სამუშაო ადგილით თუ მის გარეშე დარჩება. გამუდმებით ამაზე ფიქრის პირობებში ძნელია მუშაობა და კიდევ უფრო ძნელია იქონიო სასურველი შედეგი.

სამწუხაროდ, განათლების სისტემაში მომხდარმა რეორგანიზაციამ ვერ შეძლო პროფტექნიკური სისტემის პრობლემების მოგვარება. მას მოაკლდა ყურადღება. ამის დასტურია ის, რომ სკოლის დირექტორების კონცეფციაში ასახული არ არის ამ სისტემის სიძნელეების საფუძვლიანად შესწავლისა და დაძლევის იდეაც კი. პროფტექნიკურ სასწავლებლებზე როგორც წესი სამინისტროს, ადგილობრივი ხელმძღვანელების და საზოგადოების ყურადღების მინიმუმი მოდის.

სასწავლებელთა შერწყმის საკითხის შესწავლა იმითაც არის განპირობებული, რომ საბოლოოდ დადგინდება რამდენად მიზნობრივად ვამზადებთ მუშათა კადრებს, შეესაბამება თუ არა მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები რაიონის სახალხო მეურნეობის რეალურ მოთხოვნებს.

ორი ერთი და იგივე პროფილის პროფტექნიკური სასწავლებელი, ამავე პროფილის ტექნიკუმი ზუგდიდში, რომ არაფერი ვთქვათ აგროსამრეწველო კომბინატის სისტემის მოკლევადიან კურსებზე და სხვა სახის უწყებებზე, რომლებიც განუსაზღვრელი ოდენობით ამზადებენ მძღოლებს დაბალი და საშუალო თანრიგის მექანიზატორის კვალიფიკაციას, ერთობ ზედმეტია ზუგდიდის რაიონისათვის.

საჭიროა გაანალიზდეს და 1991 წლიდან მოხდეს სასწავლებელთა შერწყმა ან მათი გამიჯვნა მისაღები კონტინგენტის გათვალისწინებით. ასევე აუცილებელია გადაისინჯოს სკოლების მიერ მოსწავლეებისათვის პროფესიებში კვალიფიკაციის მინიჭების მიზანშეწონილობის საკითხი.

საჭიროდ მიმაჩნია საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის შემოღებულ იქნას საყოველთაო პროფესიული განათლება ერთწლიანი სწავლების ვადით. კურსდამთავრებულთათვის, განაწილებით სავალდებულო მუშაობის ორი წელი შეიცვალოს ერთი წლით და მასწავლებელს მოეხსნას სამუშაო ადგილზე მათ დამაგრებაზე პასუხისმგებლობა, ვინაიდან ეს დღეისათვის ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მიღწეულ იქნას სისტემის
წავლეებისათვის ტექნიკურ
ციპლინებში სახელმძღვანელ
ის მშობლიურ ენაზე გამოც
შემოღებულ იქნას ხუთდღ
სამუშაო კვირა და სხვა.

სხვა მხრივ ამჟამად არსებ
მდგომარეობის შენარჩუნე
ცდა, წაყრუების პოლიტ
კიდევ უფრო დაამორებს პრ
ტექნიკურ სასწავლებლებს სა
გადრეხებს, რაც მომავალ
უფრო საზიანო იქნება და პრ
ლემების წინაშე დაგვაყენებ

სასწავლებლის კოლექტივი
დმივ ძიებაშია. მას მტკიცედ
გადაწყვეტილი ახლო მომავალ
მეურნეობრიობის ახალ ფორ
გადასვლა. საამისოდ ყველაფ
კეთდება. მრავალდარგოვანი ს
წავლო მეურნეობაც ამის გა
ტიას იძლევა.

კოლექტიური განზილვის
ლიაშია წინადადება სასწავლებ
ის სახალხო განათ
ის სისტემიდან ჯანმრთელ
სისტემაზე გადასვლის შესახ
აქ შედეგებზე ლაპარაკი ნაად
ვია. ეს საკითხი მოითხოვს მ
იქრებულ გადაწყვეტას.

დღეს რადიკალური ცვლი
ების გარეშე მუშაობაში არსებ
თი სასიკეთო გარდა
ხის შეტანა ერთ
ძნელია ცვლილებების პირ
ეტაპზე კი აუცილებელია სას
ვლებელს შეეცვალოს პროფი
ან უკიდურეს შემთხვევაში გამ
ნოს კონტინგენტი. ამ და სხ
სახის საკითხების გადაჭრაში
იონის ხელმძღვანელების მხარ
ჭერა გვჭირდება.

თ. ფაცაცია,

№ 108 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

### სასკოლო მუზეუმში

# მუდამ მწედ ედგა სიმართლეს...

კარი შევაღე და უმალ დიდი კონსტანტინეს იდუმალი მზერა შემომეგება. უცნაური განწყობილება დამეუფლა. სიმყუდროვეს ოთახში მყოფთა ჩურჩული არღვევდა. მომნუსხველად გვიმზერდნენ რუსთაველი, ილია, ვაჟა... მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მთავარმა მიმიზიდა... მოჭარბებულ სურათებს შორის ცხოვრების ათასგვარგანსაცდელ გამოვლილი, მხცოვანი შემოქმედი გამოვარჩიე. პორტრეტს მწერლისავე გულიდან ნაწური სიტყვები მქონდა დართული, სიტყვები, რომელიც მხოლოდ „ვარმოხდილსა" და „კურთხეულს" დიდ კონსტანტინე გამსახურდიას თუ შეეძლო წარმოეთქვა: „ყველაფერი, რაც შემიქმნია, ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის ხიდიდებლად, განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისთვის, რომლის მედადეს და მეაბჯრედ მომაქვს კიდეც თავი".

სიუცხოო და მდიდარ „გალერეაში" მოვხვდი. კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სასკოლო მუზეუმი, არა მარტო შუარე საშუალო სკოლის, არამედ მთელი ქალაქის მშვენებაა. დიდი ხნის ჩანაფიქრი განახორციელა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ქალბატონმა გული მაქაცარიამ. უტ ასეულად ჩაუქსოვია სული სამუზეუმოდ განკუთვნილი თითოეული ექსპონატისთვის. ვეცნობი გამსახურდიების ოჯახს, აქვეა ილუსტრაციები მწერლის ცნობილი ნაწარმოებებიდან. აქვეა უტაც, სვეტიცხოვლის აღმშენებელი, ხელოვანი არსაკიძე... და კიდევ მრავალი სურათი ამშვენებს მუზეუმს, რომლებშიც გაცოცხლებულია მწერლის ცხოვრების ამსახველი არაერთი მნიშვნელოვანი მომენტი.

შეუმჩნევლად შემეპარა სიამაყე, როცა ვიხილე ზუგდიდთან დაკავშირებული მასალები. „ბატონი კონსტანტინე და ზუგდიდის თეატრის დასი",—აი, ერთ-ერთი მათგანიც. სურათი გადაღებულია იმ წლებში, როცა თეატრმა „მთვარის მოტაცება" განასახიერა თავის სცენაზე...

ყველაფერი, რაც ვნახე, თავდაუზოგავი შრომის შედეგი იყო. როგორც გ. მაქაცარიამ თქვა, სხვანაირად ვერც შეეხებოდნენ დიდი ადამიანის სახელს. „კონსტანტინეს ღმერთი ხალხია, ვინც ხალხის გულში ბინას დაიდებს, ის უკვდავია", —გაიმეორა მან ისააკიანის სიტყვები.

...გამიჭირდა მუზეუმის დატოვება. თვალწინ მუდამ დანტე გამოხედვა ბრძენკაცისა. ვიგრძენი, რომ ქართულ სიდარბაისლეს ვერსად წაუხვალ. მზად ვიყავი, ქედიც მომეხარა ქართულ ჩოხაში გამოწყობილი რაინდის წინაშე. ალბათ ყველა თაობა თავისებურად აღიქვამს დიდ კონსტანტინეს, ყველა იპოვის ახალ მარცვალს. ის კი, რაც ამ პატარა მუზეუმში გაკეთებულა, მხოლოდ ბედნიერს გხდის. რამხელა სიცარიელე შეიქმნებოდა, რომ არა დიდი კონსტანტინე,—გავიფიქრე და უმალ განვთავისუფლდი უსიამოვნო ბურუსისგან, როცა თვალი მოვკარი ეფ. მაღრაძის სიტყვებს, რაზეც იქ შემსვლელი მოზარდებიც გაამახვილებენ ყურადღებას: „კონსტანტინე მუდამ მწედ ედგა სიმართლეს, მამულს, პატიოსნებას, კაცურ კაცობას, სინდისის თავისუფლებას, კეთილ საწყისს. და წმინდა გიორგივით ბოროტებას, როგორც ურჩხულს, შიშველი მახვილით ებრძოდა". ეს სიტყვები სიმბოლურად მომეჩვენა, ვინაიდან სწორედ ასეთ მაგალითზე უნდა აღიზარდონ საქართველოს მომავალი შვილები.

რუსუდან მიქენაია.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი.

### გამოხმაურება

# არ უნდა ეპატიოს

გაზეთ „ოდიშის" 11 სექტემბრის ნომერში წავიკითხე „დაწერილი დედას", რომელმაც სულის სიღრმემდე შემძრა. საოცრად ამაშფოთებელია ის ამბავი, რომ შვილი მიდის თავის უნაზეს დედასთან იმ იმედით—ამდენ ტანჯვასა და წვალებას დედა გულში ჩახუტებით დაავიწყებდა, მაგრამ ფიზიკურად ლატაკსა და მიუსაფარს სულიერი სიღატაკე შეაგება დედამ, რომელმაც გაუ... რეცილ-ფორმიანი შვილი ქვევით ჩააცილა, და გოგონას ვედრებას უარი შეაგება.

ნათქვამია: შვილის გაჩენა სურვილია დედობისა, მაგრამ დედობა კი გმირობაა. ნუთუ არსებობს ისეთი ადამიანი ქვეყანაზე, რომელიც დედას, თუკი მოისურვებდა, ხელს შეუშლიდა უპატრონოდ მიგდებული შვილისათვის „მოწყალება" რომ გაეღო. თუ დედა ხელს არ გაუწვდის შვილს და არ ჩაიკრავს გულში—მას არ უნდა ეპატიოს დანაშაული. ის უნდა გამოაშკარავდეს და დაისაჯოს.

ყველა დედის სახელით ვთხოვ „ქალბატონს"—არ წაართვა შვილს დედის ალერსი.

ნ. გულორდავა,

ზუგდიდის აგროსამრეწველო გაერთიანების ტექნიკური ტექნოლოგი.

### ინფორმაცია

# გულმოდგინე შრომით

ზუგდიდის ლაფნის კომბინატის (დირექტორი ს. სოსელია) კოლექტივის წევრები გულმოდგინედ შრომობენ ქალაქის საწარმოების მხარდამხარ. ამაზე მეტყველებენ რვა თვის მონაცემებიც: მილიონ 602 ათასი მანეთის ნაცვლად, რეალიზებულია მილი... 646 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 102,7 პროცენტს შეადგენს. გადამეტებითაა შესრულებული აგრეთვე, სასაქონლო პროდუქციის გეგმა. ნაცვლად ...ონ 481 ათასი მანეთისა კომბინატის მშრომელების გამოშვებულ იქნა მილიონ ... ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. დაფასოებულია ... ტონა ლაფნის ფოთოლი, ნაცვლად 850 ტონისა, რაც გეგმის ... პროცენტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პედაგოგთა რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე

ამ დღეებში ჩატარდა რაიონის პედაგოგთა ტრადიციული კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივების, მშობლებისა და მოსწავლეთა კოლექტივების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი მუშაკები.

რაიონის სასწავლო დაწესებულებებში 1989-1990 წლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგებსა და 1990-91 წლის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ნ. კალანდია.

სიტყვებით გამოვიდნენ ინგირის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი ი. მიხჯორაია, რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ჭ. გვაზავა, ჯუმის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე მ. დარასელია, ჭითაწყარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ლ. შელია, ინგირის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი ა. მარგიანი, განათლების განყოფილების ინსპექტორი ბ. ესართია, სახალხო განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომის თავმჯდომარე ქ. ქარჩავა, ოდიშის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელი ფ. ქოჩუა, დარჩელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მედი, ქვემოკახათის საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. მიქენაია, ოდიშის პირველი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ქ. ბარამია, კახათის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ტ. ჩახაია, ტყაიის საშუალო სკოლიდან — გ. შენგელია, გრიგოლიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი ლ. გოგუა, ჩხორიის საშუალო სკოლის მოსწავლე თ. ფიფია.

გამომსვლელთა ყურადღება გამახვილდა სწავლების თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოგვარებასა და სასწავლო-სახელმძღვანელოებით მომარაგებაზე, სწავლების ახლებური მეთოდების დანერგვაზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი თ. მეგრელიშვილი.

• • •

12 სექტემბერს ჩატარდა პედაგოგთა საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციაზე 1989-90 სასწავლო წლის შედეგებსა და ახალი სასწავლო წლის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა განათლების განყოფილების გამგე მ. ქავთარაძე.

სწავლების თანამედროვე პრობლემურ საკითხებზე ისაუბრეს სიტყვით გამოსულებმა — პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. ლაბაძემ, მე-9 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა გ. პაპავამ, სამეცნიერო ცენტრის —ისტორიული მუზეუმის განყოფილების გამგემ, სახალხო ფრონტის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ა. ტუღუშმა, მე-2 საშუალო სკოლის დირექტორმა ქ. სიგუამ, მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგმა კ. ჭანტურიამ, შინაგან საქმეთა საქალაქო-რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ თ. ქირიამ, სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ნ. ავალიანმა, ექსპერიმენტული სკოლის დირექტორმა ვ. ბეჭვაიამ.

კონფერენციაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუნავა.

კონფერენციას ესწრებოდა სახალხო განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკი გ. ჭუმბურიძე.

კონფერენციამ მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

# შეხვედრა ირაკლი შენგელაიასთან

ამ დღეებში შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქალაქისა და რაიონის საზოგადოებრიობის პოლიტიკურ ორგანიზაციათა და პარტიების წარმომადგენელთა შეხვედრა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის თავმჯდომარე ირაკლი შენგელაიასთან.

ი. შენგელაიამ ისაუბრა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის მიმართულებასა და მიზნებზე, დამოუკიდებელ საქართველოში ქვეყნის ფედერალური მოწყობის პრინციპზე, უზენაესი საბჭოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობისა და მომავალი უზენაესი საბჭოს ამოცანებზე.

დამსწრეთა მრავალრიცხოვანი შეკითხვები შეეხო ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს ურთიერთმიმართების, მათი მირითადი დანიშნულების, არჩევნების ჩატარების საკითხებს. სწორედ ამ საკითხზე გაიმართა ცხარე კამათი. კონგრესისა და უზენაესი საბჭოს დანიშნულებასა და ურთიერთმიმართებაზე ისაუბრა აგრეთვე დემოკრატიული სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ირაკლი მაჭავარიანმა.

დამსწრე საზოგადოებამ მადლობა გადაუხადა ირაკლი შენგელაიას საინტერესო შეხვედრისათვის.

## სოფელი, ამოცანები

# იკლო მიგრაციამ

სოფლის ახალგაზრდობის ადგილებზე დამაგრების პირველი გარანტი ნორმალური სოციალური სფეროს შექმნაა. ამ მიზნით სრულდება ყველა დავალება. გროვდება ჭარბი შემოსავალი და იგი ხმარდება სოფლის კეთილმოწყობას.

ოქვეთესმა სოფელმა ყულიშკარმა, სადაც კოლმეურნეობის გაწევრობის თავმჯდომარედ აირჩიეს ადგილობრივი აგრონომი ნოდარ როგავა, თავისი სიტყვა უნდა თქვას რაიონის წინსვლის საქმეში.

კოლმეურნეობის წამყვანი დარგი მეჩაიეობაა. მას 187,44 ჰექტარი უჭირავს. 10 სექტემბრისათვის 1480 ტონის ნაცვლად 1606 ტონა ხარისხოვანი ნედლეული მიყიდეს მრეწველობას მწვანე პლანტაციების ოსტატებმა. უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ იმ ბრიგადებს, რომლებსაც ო. მაქაცარია, შ. როგავა, ლ. როგავა, ი. როგავა ხელმძღვანელობენ. აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მოიწიეს მეაბრეშუმეებმა, რომლებმაც 1879 კილოგრამი პარკი ჩააბარეს სახელმწიფოს, თავი ისახელეს ციალა შველიძემ, ჟუჟუნა მაქაცარიამ, ბედიშა როგავამ და სხვებმა.

სრულდება რძისა და ხორცის სახელმწიფოსათვის ჩაბარების დავალებები, იმარაგებენ საკვებს.

არის სიახლე. კოლმეურნეობამ სტიპენდია დაუნიშნა საშუალო სკოლის წარჩინებულ მოსწავლეებს.

შრომის შედეგებმა საყოფაცხოვრებო სფეროს გაუმჯობესებაშიც იჩინა თავი. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აფთიაქ-ამბულატორიის და სხვა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობა. ყველაფერმა ამან განაპირობა ის, რომ იკლო სოფლიდან ახალგაზრდების მიგრაციამ.

ნაშრომლიური სოფლისათვის ზრუნვა მისი ყველა წევრის საპატიო ამოცანაა.

ტ. როგავა,
კოლმეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

## წიგნის თაროს შევსება

# ტვირთი

ახლახან გამომცემლობა „ალაშარამ" დასტამბა და მკითხველს მიაწოდა ჩვენი თანამემამულე პოეტის გელა მამფორიას ლექსთა პირველი კრებული, რომლისთვისაც ავტორს „ტვირთი" დაურქმევია.

გელა მამფორიას პოეზიაში, უწინარეს ყოვლისა, პოეტური ნატურა გიზიდავთ. იგი იკრებს ინტერესს, გეძახით შეცნობისაკენ და თანადგომისაკენ.

კრებულში მკითხველის ყურადღებას იქცევს ტრადიციის სუნთქვა. ამ უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გზით გამოჭედილ და დახვეწილ თვისებებს. უწინარესად, კრებულში აშკარად არის გამოკვეთილი ავტორის პოზიცია, პრინციპი, საგნებთან დამოკიდებულება, განწყობილება, სულისკვეთება... და რაც მთავარია — მაჟიერი პოეტის სახე.

კრებულში შესულ თითქმის ყველა ლექსში რაღაც დიდი და ხანგრძლივი ტკივილის დაღი ჩანს. მათი ავტორი დაატარებს ამ ტკივილს, რომელიც მის ყოველ პოეტურ განწყობილებაშია მეტ-ნაკლებად განაწილებული:

„რა მეშველება...
ისევ უსტვენს სამოთხის ჩიტი,
რომ ჯადო-ხვერით მონუსხული
სული და ხორცი
ხაცაა სხვაგან გამიფრინდება...
ეს ზღაპარია,
იგი ჩვენთვის შეთხზა ცხოვრებამ
და მზე გვიბოძა
ერთი ღამით
თვალდახუჭულებს..."

საოცრად წრფელი და შიდაპირია ამ სტრიქონების ავტორი. მკვეთრია მისი სათქმელი, მკვეთრია ფრაზა, შედარება... ყველაფერი ეს კი დიდი ენერგიის გაღების გარეშე არ მომხდარა.

გელა მამფორიას პოეტური ხმა თავისთავადობითა და გულწრფელობით იქცევს ყურადღებას და იმედი გვაქვს, რომ იგი თავისი ლექსებითა და მოღვაწეობით შემდგომშიაც გაგვახარებს.

მ. ჯიქია,
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი.

# ჩვენი კეთილი ბოშები

(ფელეტონის მაგიერ)

ამ ორიოდე თვის წინ წესრიგის ფორმიანმა დამცველებმა კარგა გვარიანად დაუცაცხანეს „იუვაჩკა", „ტურბო", „სიგარეტის" ძახილით ბაზრის შესასვლელთან მოკრიახე ბოშა ქალებსა და ეთნიკურად მათ მონათესავე ქალბატონებს. ბოშებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც წყევლა-გინება და ალიაქოთი ატეხეს „მწვალებელთა" მისამართით და იქნებ უფრო მძაფრი საპროტესტო აქციისათვისაც კი მიემართათ, ერთ ცხოვრებისაგან დაბრძენებულ ბოშას ბრძნული აზრი რომ არ მოსვლოდა თავში:

— ახლავე ჩაიწყვიტეთ ხმა და კარგად დამიგდეთ ყური, —უბრძანა ფაშფაშა ქალბატონმა აყაყანებულ „მრევლს". — რას ერჩით ამ კეთილ ადამიანებს? მერიქით, მადლობა უნდა ვუთხრათ მილიციელებს ჩვენზე ზრუნვისათვის. ჭუჩა-ჭუჩა დავდივართ და ბავშვებიანად მზის გულზე ვიხრუკებით? ვიხრუკებით! ხალხს ვუბნებით ვებლანდებით! ვებლანდებით! გავყვირით, საკუთარ ხმასა და ჯანმრთელობას არ ვუფრთხილდებით? არ ვუფრთხილდებით! მოდა, დროა ჩვენც მკუას მოვუხმოთ, გარდავიქმნათ, ბაზრის კარებთან წოწიალს მოვეშვათ და მყუდრო ადგილზე გადავბარგდეთ. სად? აი, თუნდაც ბულვარში, სანაცინესთან, მთელი ზუგდიდის კარგი გოგო-ბიჭები იქ იყრიან თავს, ყავით მკითხავებიც მრავლად არიან... მზეზე დგომას, ჩრდილში ჯდომა არ სჯობია?

ბოშებს ჭკუაში დაუჯდათ ფაშფაშა თანატომელის ნააზრევი, უხმაუროდ, ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჭადრების ხეივანში გადაიტანეს თავიანთი „რეზიდენცია", ამოალაგეს დეფიციტური სიგარეტები, „უუვაჩკები" და გააჩაღეს ვაჭრობა. სწორედ ამაზე იტყვიან: ზოგი ჭირი მარგებელიაო. ახლა მათ არავინ ედავება, არიან ჩრდილში არხეინად მოკუჩებული, არც ხმა ელლებათ და არც მუხლი, მუშტ ი კი... ოღონდ თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდანაც მოვა!

სხვა არ ვიცი როგორ ფიქრობს, პირადად მე, ერთი რიგითი გამოუსწორებელი მწეველი, კმაყოფილი ვარ მესიგარეტე ბოშების კეთილსინდისიერი მომსახურებით. თავად განსაჯეთ: მე რუსულად შევეკითხები, რამდენად ყიდით სოხუმურ „კოსმოსს"-მეთქი, ისინი ქართულად მპასუხობენ — „სამი მანეთი, გენაცვალეო". ვეკითხები: „მტკვარი?" —„ერთი მანათი", — მეუბნებიან ღიმილით. აგაშენათ ღმერთმა! ამბობენ, სხვაგან, თუნდაც მოსკოვში, ორმაგად ძვირია, აქ კი... საფაა მაღაზიებში სიგარეტი, მაგრამ როცა არის— ნაკლებ ფასად ყიდიან თუ რა, სახელმწიფო ვაჭრობის მუშაკები?! თანაც კილომეტრიან რიგში დგომა რომ არ გვიწევს, ესეც ცოტა შეღავათი ხომ არ გგონიათ?

კი, ერთი-ორი ინტრიგანი იმასაც იკითხავს, მაინც როგორ შოულობენ, საიდან მოაქვთ ეს სიგარეტი ამ ბოშებსო? საიდან და ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი უგზავნით „პასილკით"! ყიდულობენ ბატონო, ყიდულობენ ჩვენი ძალაზიების საწყობებიდან, ჩვენი ბაზებიდან, ჩვენი თამბაქოს ფაბრიკების უკანა კარებიდან, მიდიან, მოდიან, ჩამოაქვთ... ერთი სიტყვით — ებრძვიან თამბაქოს დეფიციტს ჩვენი კეთილი ბოშები.

...და ბოლოს, ზუგდიდელ ნიკოტინისმოყვარულთა საზოგადოების სახელით შემომაქვს წინადადება:

ვინაიდან ბოშები აქტიურად თანამშრომლობენ ვაჭრობის სისტემის ორგანიზაციებთან, ხელს უმართავენ დახლის მუშაკებს სახელმწიფო გეგმების შესრულებასა და პირადი პრობლემების მოგვარებაში, არ თაკილობენ მოქალაქე მყიდველებთან კულტურულ საგაზრო ურთიერთობებს, უპრიანია, მათი რიგებიდან ცალკეულ თავგამოჩენილ პირებს მიენიჭოთ „საბჭოთა ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება.

ჯამბულ არქანია.

## სპორტი

# გზა დაელოცოს

ხალხოსნო სპორტის სიყვარული ჩვენი კუთხის ხალხს ოდითგანვე მოგვდგამს. ამ სიყვარულს ატარებდა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ანზორ შონია, რომელიც დღემდე ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს.

სპორტის ამ რთულ სახეობაში ირჩია შრომა ანზორის ვაჟმაც მამია (პაატა) შონიამაც, რომელიც ბავშვობიდანვე ჩაება სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობაში და ამჟამად პერსპექტიული სპორტსმენია.

პაატა პასუხისმგებლობით ეკიდება მოვალეობას, ყოველდღიურ ვარჯიშში იმაღლებს ოსტატობას, ზრდილი და თავაზიანი პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა.

ამჟამად იგი მე-10 სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის ემზადება. გზა დაელოცოს ახალგაზრდა ცბენოსანს!

ალ. ბულია

## შესაკეთებელია

ოქტომბრის შიდა უბანი დოდინეძის საზღვრამდე ექვს კილომეტრს ითვლის. ეს გზა მეტად დატვირთულია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ყანებიდან სიმინდის მოსავალი გამოაქვთ. სამწუხაროდ აღნიშნული გზა კეთილმოუწყობელია. მასზე ღორღია დასაყრელი. სოფლის ხელმძღვანელობამ არ უნდა გადადოს ამ საქმის მოგვარება.

ბ. შამუგია,

# მგზავრები ემადლიერებიან

გოგი ჭანტურია საქალაქო მარშრუტის № 2 ავტობუსს ემსახურება. ამასთანავე ხსენებული ავტობუსი სოფელ რუხის მარშრუტზეც დადის საჭიროების შემთხვევაში.

სწორედ რუხელები არიან იმ მადლობის ბარათის ავტორები, რომელიც რედაქციაში შემოვიდა: „გოგი ჭანტურია მისაბაძი მძღოლი და სამაგალითო პიროვნებაა, — წერს ემა ოყუჯავა, — გარდა იმისა, რომ იგი დაუზარლად შრომობს, ყურადღებასა და გულისხმიერებას იჩენს მგზავრებისადმი, მის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს ისიც, რომ თუ რაიმე ნივთი დაგვრჩება, იმედი გვაქვს, რომ არ დაგვეკარგება, გოგი უსათუოდ იპოვის პატრონს და უცვლელად უბრუნებს მას — საფულე იქნება ეს თუ სხვა რამ. ის ერთი იმათგანია, ვისაც სჯერა ქვეყნად სიკეთის და კეთილშობილების".

ეს საინტერესოა

# მამა... უცხოპლანეტელია

როგორც ყოველკვირეული ამერიკული „ხანი" იუწყება, თერთმეტმა ახალგაზრდა ქალიშვილმა, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან, ქვეყანას მოავლინეს უცნაური არსებები. ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ ახალშობილთა მამები უცხოპლანეტელებია. მოგითხრობთ ერთ-ერთი მათგანის, თხუთმეტი წლის ბულგარელი ქალიშვილის, ტანიას მონაყოლს.

ერთ ღამეს გამაღვიძა ხასიათმა ნათებამ ოთახში. მაშინვე წამოვდექი და ფანჯარაში გავიხედე. საიდანაც უზარმაზარი, ჩვენი სახლის ზომის მბრწყინავი ფერადი სფერო დავინახე. დავინტერესდი და ... სფეროსაკენ გავემართე. მიახლოებისას სფეროში გაჩნდა გასასვლელი, იქვე იდგა სამი ჰუმანოიდი. ახინი სიმაღლით 1 მეტრისა და 20 სანტიმეტრისანი თუ იქნებოდნენ, კანი ბრინჯაოს ფერისა ჰქონდათ, დიდი ქუთუთოები კი — ღია მწვანე ფერისა. ისინი ძალზე მსუქნები იყვნენ. უცნობებმა შიგნით შემიპატიჟეს. შემდეგ მხოლოდ დიდი, ბნელი ხათავსი მახსოვს, რომლის ჭერზე ვარსკვლავების მსგავსი მოელვარე წერტილები იყო. როცა გონს მოვეგე, ვიგრძენი, რომ გრილ ბალახზე ვიწექი, მოშორებით კი დავინახე სფერო, რომელიც თანდათან შორდებოდა იქაურობას..

ამ შემთხვევიდან 10 თვის შემდეგ ტანიას შეეძინა ბავშვი, საკმაოდ მსხვილი, მომწვანო-ბრინჯაოს ფერის, დიდი, ბრტყელი თავით და ძალზე მაგარი კანით. ბავშვი და მისი მსგავსი კიდევ 10 „ქმნილება", როგორც გაზეთი იუწყება, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს გამოკვლევისა და დაკვირვებისათვის.

გაზეთი „ექსპრესი".

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

# განცხადებები, რეკლამები...

ნარაზენის ჩაის მეურნეობასთან არსებული კოოპერატივი „სინათლე" თავისუფალ გაყიდვაზე უშვებს „ჟიგულის" ყველა მარკის ავტომანქანის წინა ორმაგ მინას.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ტელეფონით: 2-30-56.

ნარაზენის ჩაის მეურნეობის
კოოპერატივი „სინათლე"

ზუგდიდის სარაიონო კულტურის სახლში ყალიბდება ბავშვთა საესტრადო ანსამბლი. ანსამბლში მიიღებიან შესაფერისი მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვები 7-დან 12-წლის ასაკამდე.

მიღება წარმოებს 10-დან 20-სექტემბრამდე.

რუსთაველის ქ. № 95 — სარაიონო კულტურის სახლი.

ა. კ. ბუკიას სახელობის ზუგდიდის № 62 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

მოსწავლეთა მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის. ცხრა კლასდამთავრებულთა ბაზაზე სამ და ერთწლიანი სწავლების ვადით შემდეგ სპეციალობებზე.

ხელით შედუღების ელშემდუღებელი — ერთი ჯგუფი; კალატოზი, ფოლადის და რკინაბეტონის კონსტრუქციის მემონტაჟე — ერთი ჯგუფი; სანტექნიკური სისტემისა და დანადგარების მემონტაჟე; აირშემდუღებელი — ერთი ჯგუფი; მკერავი — ერთი ჯგუფი; რადიო სატელევიზიო აპარატების მომსახურე და შემკეთებელი; რადიო მექანიკოსი.

სკოლა დამთავრებულთა ბაზაზე ერთწლიანი სწავლების ვადით:

ხარატი — ერთი ჯგუფი; საშენებლო დურგალი — ერთი ჯგუფი; მკერავი — ორი ჯგუფი; კარტოფილის, ხილისა და ბოსტნეულის შენახვისა და დამუშავების ოპერატორი, წვენების გადამუშავების ოპერატორი — ერთი ჯგუფი; ავტომწის მემანქანე მართვის უფლებით — ერთი ჯგუფი;

სასწავლებელში სწავლა უფასოა, მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლით, კეთილმოწყობილი ბინითა და სტიპენდიით, ასევე მიეცემათ საწარმოო სწავლების პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი.

სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც დაეუფლებიან პროფესიას და მიიღებენ საშუალო განათლებას, მიეცემათ დიპლომი. კურსდამთავრებულები, რომლებიც სამწლიანი სწავლების ვადით სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინების დიპლომით, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას სარგებლობენ, იმ უპირატესობით, რომელიც დადგენილია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ოქროს მედლით, კურსდამთავრებულთათვის, ხოლო ერთწლიანი სწავლების ვადით წარჩინების დიპლომზე კურსდამთავრებულები სარგებლობენ მედალოსნის უფლებით, მხოლოდ პროფესიის მიხედვით.

მისაღები გამოცდების გარეშე გასაუბრების საფუძველზე, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხებიან მხოლოდ ვაჟები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი იმ სპეციალობით, რომლებიც შეესაბამება ან ენათესავება მათ მიერ არჩეული ფაკულტეტების ქვემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებს.

სამთო ფაკულტეტი, გეოლოგიის ფაკულტეტი, ენერგეტიკის ფაკულტეტი ელექტრომექანიკისა და ელექტრონიკის ფაკულტეტი და ქიმიური ტექნოლოგიისა და საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ჩაითვლება საერთო და უწყვეტ სტაჟად. ყველა კურსდამთავრებული სასწავლებელში მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ განაწილდება ქალაქის წარმოება-დაწესებულებებში.

სასწავლებელში მოქმედებს ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის, უცხო ენის, ისტორიის, ფეხბურთისა და მძლეოსნობის წრეები.

სასწავლებელს გააჩნია საკუთარი სტადიონი, სპორტული მოედნები, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სახელოსნო, სატბორე მეურნეობა და ვიდეოსალონი.

წელს სასწავლებელში გაიხსნება მიკრო სამკერვალო ფაბრიკა.

მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები:

განცხადება დირექტორის სახელზე ფაკულტეტის ჩვენებით, განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი) დახასიათება სკოლიდან, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 285 ან 086 -უ) 6 ცალი ფოტოსურათი. (ზომით 3X4), სასწავლებელში ჩაირიცხებიან 15 დან 30 წლამდე ასაკის გოგონები და ვაჟები.

განცხადებები მიიღება 1 ოქტომბრამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა.

შენიშვნა: როგორც გამონაკლისი, ერთწლიან ტექნიკურ ჯგუფში სურვილისამებრ მიიღებიან ცხრა კლასდამთავრებულები კალატოზის, ფოლადისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მემონტაჟისა და მკერავის სპეციალობებზე. საშუალო პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები, რომელთაც სასწავლებელში მიღებამდე არ ჰქონდათ საშუალო განათლება, არ იქნებიან გაწვეულნი სასწავლებლის დამთავრებამდე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლებლის დირექციას. მისამართი: ზუგდიდი, კრილოვის ჩიხი № 3, ტელეფონი 2-83-37.

მეუღლე ბაბო, შვილები: მაყვალა, მზია, დათო, დები: ვენერა, მარგო, ძმა ლეონტი, რძლები: ბარისა დარსალია, სვეტა ყუფუნია, სიძეები: ჯოტო ლატარია, პეტრე ჩიჩუა, ანზორი გეთია, შვილიშვილები: შოთა, ცირა, გოგა, მაია, ნათია, ძმისშვილები: ლუიზა, დოდო, ლეონიდი, დისშვილები: გოგილა, მურმანი, რუბენი, მურთაზი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**დავითი ოისების ძე ჯიქიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21 სექტემბერს, დაკრძალვა 22 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება თავისუფლების ქუჩა № 281-დან, 17 საათზე.

მეუღლე გუგუ, შვილები თინა, მერი, ჟოლო, კაკო, და თამარი, რძლები ნონა, ლუიზა, ანეტა, ხუტა, ავეთინა, ნუნუ, ტანია, სიძეები, პავლუშა ქარცხია, ჟორა ჭკადუა, ანზორ ლომაია, შვილიშვილები: დათო, მუხრანი, ოთარი, ფრიდონი, თეა, თემური, ლექსო, შვილთაშვილი თემური, ძმისშვილები ტატაჩი, ჯონი, რეზო, მიმოზა, ვაგნერი, დისშვილები: ბორის, ეთერი, გოგუცა, ეუეუნა, ცოლისძმა ისაკი კვარაცხელია, ცოლისდა ბაბილინა, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალოდია ქუზუს ძე თოდუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21 სექტემბერს, დაკრძალვა 22 სექტემბერს, სოფელ ნარაზენში.

ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**ბებური ჩოხოს ძე მესხის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის სამგზავრო ავტოკოლონა 2676-ის კოლექტივი იუწყება

**ვაჟა გერასიმეს ძე ნაჭყებიას**

გარდაცვალებას. და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქ. ზუგდიდის №7 საშუალო სკოლის 1990 წლის (ბ კლ.) კურსდამთავრებულები იუწყებიან

**ნანა ვანოს ასული ჭანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დოდინეძის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება

**ლილა ანზორის ასულ კუტალიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის, ოჯახს.

მეუღლე ლეღუნი, შვილები: ზაური, თინა, ეპზარი, ხუნტუშა, ლუიზა, დები: მიმინო, თამარა, რძლები: ლუიზა, ნანი, დარეჯანი, ლუბა, ლილა, ბაბუცა, დჟუნია, ვალია, სიძეები: ოთარი ბზიკაძე, ზურაბი მიქავა, ვალოდია ხარჭუა, შვილიშვილები: ხათუნა, ციცინო, სოფიკო, მაია, ვარლამი, დათო, თენგო ქაფანძეები, ტარიელი, ნესტანი ბზიკაძეები, დათო, თეა მიქავები, მაზლები: დამიანე, მურადი, მული ვერა ქაფანძეები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

**ნაზია თენგიზის ასულ შენგელია-ქაფანძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21 სექტემბერს, დაკრძალვა 23 სექტემბერს, განმუხურში.

მეუღლე ტატიანა, შვილი რამინი, რძალი მანონი ქირია, შვილიშვილები. ცირა, მაიკო, დები გოგუცა, იზო, დისშვილები მიმოზა, ინეზა, მარინა, ნატო, ხუროძეები, სიძე კოტე ხუბუტია, ცოლისძმები ბონდო, ვაჟა ბერაიები, პაციკო, ჯემალი ქებურიები, ცოლისდები სულიკო, ნათელა, იამზე, იმერი, ვაული ქებურიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ალიოშა ნირიანეს ძე ციმინტიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21 სექტემბერს, დაკრძალვა 22-სექტემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება კუიბიშევის 9-დან.

ძიხაგან საქმეთა ზუგდიდის განყოფილების კოლექტივი იუწყება

**შურა პარმენის ასული კუპრეიშვილი-ხუბულავას**

გარდაცვალებას, და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოები იუწყებიან პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანის

**ერმინე ანდრიას ძე წყაროზიას**

გარდაცვალებას, და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის სარემონტო-მექანიკური კომბინატის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**შურა სახოკია-სოსელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჭითაწყარის სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა და ავტოგარაჟის მუშაკები იუწყებიან

**ბებური ჩოხოს ძე მესხის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2 33 40 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21 78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 53, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. № 4098